საქართველოს კანონი

„არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №24, 02.07.2007, მუხ. 219) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შეიძლება ჰქონდეს ემბლემა, რომლის ნიმუშსა და გამოყენების წესს შეიმუშავებს და ამტკიცებს მინისტრი „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.“.

2. 9^1 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. პრობაციის ოფიცერს სახელმწიფოს ხარჯზე შეიძლება მიეცეს სამსახურებრივი ფორმის ტანსაცმელი, რომლის ნიმუშსა და გამოყენების წესს შეიმუშავებს და ამტკიცებს მინისტრი.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

22 თებერვალი 2019 წ.

N4329-IIს